წელიწადი მე-3
ტელეფონი № 76.
შაბათი 1 აპრილი 1917 წ.

14

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო

გაზეთის ფასი:
წლიურად . . 15 მან.
ნახევარი წლით . . 8 მან.
თვიურათ . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე . . 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭვდა თითოჯერ არა უმეტეს სამ [გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 5 მ.
2 საათის შემდეგ . . 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. ქნ. ს. ნ. მიქელაძის სახლში.

№ 584 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 584

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ

პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს მცკიცედ შეჰკრან კავშირი პროვინციაში—როგორც ქალაქებში, ისე სოფლად.

მამულიშვილნო!

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს. შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის, შემოწირულება მიიღება „სამშობლოს" რედაქციის კანტორაში.

სატახტო ქალაქის ცირკი ძმ. ეფიმოვების.

კვირას, 2 და სამშაბათს 3 აპრილს გაიმართება

დიდებული წარმოდგენები,

დღეში ორი. **დილით** დასაწყისი შუადღის 1 საათზე დიდი პროგრამა განუწყვეტლივ გასართობები. მონაწილეობენ მოჯირითე კაცები და ქალები, გიმნასტები, გლადიატორები, ეკვილიბრისტები, ექსცენტრიკები, გაწვრთნილი ცხენები, კატები და ყველა ხუმრები. **საღამოთი** საგანგებო პროგრამა, მონაწილეობენ ევროპაში ცნობილი მსახიობნი, დებიუტები, გასტროლები და სხვა. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ორშაბათიდან, 27 მარტიდან საუცხოვო პროგრამა, რომლის შემოსავლიდა ნაწილი ბრძოლის ველზე მყოფთათვის სააღდგომო საჩუქრების დასამზადებლად გადაიდება. **ტფუნების ქალღმერთა** მხატვრ. დრ. 5 ნაწ. გამოჩენილ მსახიობთა ფრანჩესკო ბერტონის მონაწ. **პატეს სამხედრო ქრონიკა.**

ელექტრო. ამპირ თეატრი

ორშაბათიდან, 27 მარტიდან შესანიშნავი სურათი, რომლის შემოსავლიდან ნაწილი ბრძოლის ველზე მყოფთათვის სააღდგომო საჩუქრების დასამზადებლად გადაიდება. **სახელგანთქმულობის მწვერვალზე.** დრამა 6 ნაწ. მოზჟუხინის და ლისენკოს მონაწ. **ტიკინების თეატრი კუნძულ საგაზე,** სანახაობა.

ხელის მომწერთა საყურადღებოთ

ვინაიდან ახლანდელი მდგომარეობა მოითხოვს განსაკუთრებით ზედმეტ ხარჯებს, რის გამოც გაზეთის გამოცემის საქმე გაძნელებულია, მოვაგონებთ ჩვენს ხელის მომწერლებს, რომ ხელი შეგვიწყონ. ხვედრი ფულის თავთავის დროზე გადახდით. ვინც **მარტის** დამლევამდე ხვედრ ფულს არ წარმოადგენს, **აპრილის პირველიდან** იძულებული ვიქნებით გაზეთის გზავნა შეუწყვიტოთ.

გაზ. „სამშობლოს" კანტორა.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

ტ. ფ. ფილოიანისა.

ორივე სქესისათვის (თბილისში, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976). **თხოვნის მიღება:** 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყო თოთხმეტ იანვარს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში. 11 თვ.

განცხადება.

ძმათა ქორქოლაძეების მაღაზიაში მიღებულია საუკეთესო ხარისხის

„საპონის სოდა",

აგრეთვე ყოველივე ბაკალიური საქონლები.

ფასები ყველაფერზედ ზომიერია. 10 თვ.

ს. ბუგეულს რაჭის მაზრაში პირველ აპრილიდან

განახლდება

ძმ. წულუკიძეების **გოგირდის აბანოს** მუშაობა. აბანოსთან არის, ცხრა მოწყობილი ოთახი ავათმყოფებისათვის და სუფთა საბანაო თეთრი ქვის ვანები. იქვე იშოვება ყოველგვარი სანოვაგე მიმსვლელ ავათმყოფებისთვის.

ს. გეგუთში მცხოვრებელს ბაგრატ დათიაშვილს 24 მარტს ღამე

მოჰპარს ცხენი

თუ ვინმემ იცის, სად იმყოფება იგი უმორჩილესად ვსთხოვ აცნობოს **ქუთაისის პოლიციის გამგეს** ცხენის ნიშნები: შავი ფერი, გაკრეჭილი მარჯვენა ფეხზე—ნატკენი, კუდიც შეკრეჭილი, ტანად სრული. 2—2

ქუთ. საადგ.-მამულო ბანკის მიწის მზომელი და თბილ. საადგ.-მამულო კომისიის მიწის მომწყობი

ვ. ს. ასათიანი

ადგენს მამულების სალიკვიდაციო და მიწის მოსაწყობ პლანებს. შუამავლობს ქართლ კახეთ-აფხაზეთში მიწების შემძენ-გამყიდველთა შორის. მიწის შემძენ გლეხთა ამხანაგობებს აძლევს შეღავათიან ტეხნიკურ დახმარებას. ცნობების მიღება შეიძლება ქუთაისში: ა) საადგილ-მამულო ბანკში, ბ) პროვიზორ კახიანის აფთიაქის მაღაზიაში, ქალ. თეატრის პირდაპირ, გ) ვ. ს. ასათიანის ბინაზე, ო. ჭიჭინაძის ქ. № 8, სახლი რუხაძისა, თბილისში საადგილ-მამულო კომისიაში, თფილ. თავ.-აზ. დეპუტატთა საკრებ. ბინა, ბელინსკის ქ., № 1. ჭიათურაში შავი ქვის მრეწველ ალ. ხაბულიანთან. 9 თ.

რას ვაკეთებდით და რას ვაკეთებთ?

გაზ. „სოციალ-დემოკრატის" № 7-ში, მეტი რომ არა ვთქვა უცნაური წერილია (თ. ჟუმბურიძისა).

აი რას ამბობს ავტორი:

„დღეს ისინი (ს. ფ. და ეროვნული დემოკრატები) სოროებიდან ამოძვრენ და მზის სხივებზე გამოეფინენ, დღეს საკუთარი დროშით გამოდიან ჩვენში ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლები—ფედერალისტები და ნაც.-დემოკრატები. ისინი ამაყად და ურცხვად გაიძახიან, ჩვენც ვხნავდით, ჩვენც საქმეს ვაკეთებდით და ჩვენც საერთო ფერხულში პირველობის ღირსი ვართო".

ამაოდ ჰგოდებს. სოციალფედერალისტები ისეთსავე „მუშათა პარტიას" წარმოადგენენ, როგორსაც სოციალდემოკრატები.

ეროვნული დემოკრატები კი, დიაღაც, ვხნავდით და ვთესავდით ხნულში ეროვნული ერთობის თესლსა.

ჩვენ ვამბობდით და ვამბობთ: კლასთა ურთიერთშორისობა არ ამოიწურება მარტო ბრძოლით, არამედ შეიცავს თანამშრომლობასაც. ჩვენ ვეუბნებოდით და ვეუბნებით ბურჟუაზიას: ნუ გამოეყოფები მუშათა კლასს, გაიზიარე მისი ინტერესები, გქონდეს მასთან ერთობა. ჩვენ ვცდილობდით და ვცდილობთ ბურჟუაზიისა და მუშათა კლასს შორის ხელოვნური შუაზღუდის მოსპობას და თანშევეწეოდით და თანშევეწევით, მაშასადამე, ბურჟუაზიის გადემოკრატებას.

იმავე დროს ჩვენ ვიცავდით და ვიცავთ ერთსადაიმავედროს კერძო საკუთრების ხელუხლებლობასა და დემოკრატიზაციასა და აღვიარებდით და აღვიარებთ ისეთს აგრარულ პროგრამას, რომელიც არ უარყოფს კერძო საკუთრებას, მაგრამ უზრუნველ ჰყოფს მიწათმოქმედთა უმრავლესობის ინტერესებსა, და მით, რასაკვირველია, თანშევეწევით მათს გადემოკრატებას.

დასასრულ, ჩვენ ვეუბნებოდით და ვეუბნებით მუშათა კლასს: ნუ იქნები უკიდურესად შეურიგებელი, ნუ სთვლი დანარჩენ კლასებს მხოლოდ მტრებად, იზამეთ მათი თანამშრომლობაცაო და მით ხელი შეუწყვეთ მათს გადემოკრატებას!

ამგვარად ჩვენ გვინდოდა და გვსურს გავდვათ შემაერთებელი ხიდი კლასთა შორის, ხიდი, რომელიც ათავისუფლებს ბურჟუაზიას რეაქციის უფსკრულისაგან და მუშათა კლასს შეურიგებელი უკიდურესობისაგან.

დამახასიათებელია ავტორის შემდეგი სიტყვები: (ბურჟუაზია) მოჰყვება (პროლეტარიატს) მხოლოდ იქამდის, სადაც დასრულდება პოლიტიკური რევოლუციის მსვლელობა. ამის იქით სხვადასხვა მხრით გაემართებიან. რევოლუციონური პროლეტარიატი გასწევს თავის საბოლოო მიზნისკენ, სოციალური რევოლუციისაკენ, კაპიტალისტური წესწყობილების დანგრევისაკენ. ეს გზა, პოლიტიკური რევოლუციის იქით, პროლეტარიატმა უნდა გაიაროს მარტო, მას აქეთკენ აღარ გაჰყვება ბურჟუაზია, რადგან ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება მის ინტერესებს"... პოლიტიკური ცხოვრების სადავეები დღეს პროლეტარიატის ხელშია".

უეჭველია, რომ ეს შემცდარი აზრებია. სოციალური რეფორმები უნდა განხორციელდეს დამფუძნებელი კრების მიერ და არა რევოლუციური გზით. სოციალური რევოლუცია ისეთს ანარქიასა და უწესრიგობას შექმნიდა ეკონომიურ ურთიერთშორისობაში, რომ საშინელ რეაქციასა და კონტრ-რევოლუციას გამოიწვევდა. ამგვარად სოციალური რევოლუციისადმი მოწოდება—კონტრ-რევოლუციური მოწოდებაა.

დიაღ! ჩვენცა გვსურს რევოლუციის გაღრმავება, მაგრამ ეს გაღრმავება მოასწავებს დემოკრატიული წესწყობილების განმტკიცებას და ამ მიზნის გარშემო ყველა კლასის შეკრებასა და არა პროლეტარიატის დიქტატურასა და სოციალურ რევოლუციას.

ამიტომ, ჩვენ უარვყოფთ რომელისამე ერთის, თუნდა რევოლუციური პროლეტარიატის, ჰეგემონიასა და დიქტატურას და ვჰწამს, რომ რევოლუცია მხოლოდ მაშინ შეირჩენს მოპოვებულ თავისუფლებათ, როდესაც მისი თანამოზიარე ყველა კლასი, ე. ი. მთელი ხალხი, იქნება.

ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ რევოლუციონერ იაკობინელთა ჰეგემონიამ დაღუპა საფრანგეთის დიდი რევოლუცია (მეთვრამეტე საუკუნის გასულს), 1871 წელს პარიზის პროლეტარიატის მიერ ფულების ხელში ჩაგდებამ ხელი შეუწყო საფრანგეთის ეგრეთწოდებულის უმონარქო მონარქიის, ცენტრალისტურ-ბიუროკრატიული რესპუბლიკის დამყარებასა და სხ.

მოქალაქენო! გავიხსენოთ ისტორია და ავიცილოთ თავიდან ის შეცდომები, რომელთაც ამდენი ზიანი მოუტანეს კაცობრიობას.

ნუ ვინ მოინდომებს ჰეგემონიასა და დიქტატურას! ნუ ვინ იოცნებებს ამ ჟამად სოციალური რევოლუციის შესახებ! შევერთდეთ ძმურად, პროლეტარები და გლეხები, ინტელიგენტები და არა ინტელიგენტები, ღარიბნი და მდიდარნი და ხელი შევუწყოთ დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას.

რაც შეეხება იმას, ჩვენ რომ ეროვნულ-პოლიტიკური ავტონომია გვიწერია დროშაზე, ესეც ხომ ერთერთი თავისუფლებაა და, მაშასადამე, მისი უარყოფა რევოლუციონერისაგან გაუგებარია.

დასასრულ, არ შემიძლია არ დავგმო ავტორის ყოვლად შეუსაბამო დემაგოგია. ჩვენ, „სამშობლოს" მიმართულების აღმსაარებელთ, რომ შავრაზმელობას გვწამებს, ნუ თუ არ იცის, რომ ბრძოლის ასეთი შეუწყნარებელი საშუალება ახლანდელ მომენტს სრულიად არ შეეფერება?! ერიდეთ, ბატონებო, ამგვარს პარტიულ განქიქებას, რადგან ყველაფერი, რაც ხელს უშლის პარტიათა ერთობას, ხელს უშლის იმავე დროს რევოლუციის გაღრმავებასა და განმტკიცებას.

ვ. წერეთელი.

ეროვნული პრობლემა და სოც.-დემოკრატია.

მე XIX ს. წარმოშვა და ნაწილობით კიდეც გადასწყვიტა პატარა ერთა საკითხი დასავლეთ ევროპაში. ამ საუკუნეში წარმოშობილ კულტურულ ღირებულებათა შორის პირველი ადგილი უჭირავს ეროვნულ შემეცნებას, როგორც ისტორიულ-კულტურულ კოლექტივის შემომფარგველ შემეცნებას. დიადი, უაღრესი მნიშვნელობა ეროვნული საკითხისა, ამ უუსათუთოეს კულტურულისა სულიერ არსებობის საკითხის დიდმნიშვნელობა უწინარეს ყოვლისა, რასაკვირველი, ევროპის ერთა საზოგადოებამ და მათმა საზოგადოებრივმა მიმართულებებმა შეიგნეს და სათანადო, შესაფერი გეზიც მისცეს თავიანთ სოციალ პოლიტიკურ აგიტაციასა და გამოსვლებსა. ევროპაში ვერ ნახავთ ვერც ერთ პატარა ერს, ჩეხები იქნება ის თუ სლოვაკები, რომელიც თვის ეროვნულ სახიერებას განმტკიცებასა და პოლიტიკური თვითარსებობისათვის არ იღწვოდეს. არც ერთი დაბეჩავებული ერის სოციალ-დემოკრატიული პარტია არ ასცდა ევროპაში მთელი ხალხის, ერის სულიერ მოთხოვნილებათა იმ ქსელს, რომელიც უწინარეს ყოვლისა პოლიტიკური დამოკიდებულობის ფორმებში სახიერდება. ევროპიელ ერთა სოციალ-დემოკრატია მჭიდროთ დაკავშირებული ხალხთან თვისი წარმოშობით, თვისი პროგრამით, თვისი მოქმედებით და ბრძოლის სისტემით. თავიანთ პროგრამაში ეროვნული დამოკიდებულობის (მაგ. ავტონომიის) შეტანით ევროპის ჩაგრულ ერთა სოც. დემოკრატია ღრმათ ჩასწვდა ერის სულს და მის წიაღში გადასკვნა თვისი, პარტიული და ხალხის, ეროვნულ არსებობის შესაძლებლობა. ამით იქაური სოც. დემოკრატია ეროვნული შეიქმნა! ამასვე ვხედავთ რუსეთში, რუსეთისა და სხვა ერებთა სოციალ დემოკრატია გამოვიდა, როგორც არა მარტო **სახალხო**, არამედ იმავე დროს როგორც **ხალხოსნური** მაშასადამე, როგორც ეროვნული პარტია; მათ თავიანთ დროშას ოქროს ასოებით წააწერეს არა მარტო 8 საათის სამუშაო დღე და გადაგვარებულ ნიკოლოზ მე-2 დამხობა, არამედ უწინარეს ყოვლისა აღდგენა ჩაგრულ ერის უფლებებისა, მათი პოლიტიკური დამოკიდებულობისა ავტონომიის სახით. სოციალ დემოკრატია პოლონეთისა, ლიტვისა, ლატიშებისა, უკრაინისა, და თქვენ წარმოიდგინეთ სოციალ დემოკრატია უმიწა-წყლოთ დედამიწის ზურგზე ღვთის ანაბარათ გაბნეულ ებრაელებისა როგორც უებარი მებაირახტენი ეროვნულ თავისუფლებისა ისევ გამოვიდნენ ამ დიდი რუსეთის რევოლუციაში. მათ ენერგიულის მუშაობით ხელი შეუწყეს მათი ერების პოლიტიკურ განთავისუფლებას და როგორც თავიანთ ერის სრულიათ სამართლიან წარმომადგენლებმა აფრთოვანე-

514

ბული, წამაქეზებელი პასუხი მიიღეს ახალ, რევოლიუციური მთავრობის წარმომადგენელისაგან. ასეთი ახალი, მჩქეფარე ნაკადული გადმოიჭრა საქართველოშიც ათიოდე წლის წინ აწ განსვენებულ ლადო დარჩიშვილის პოლიტიკური გამოსვლით, რომელმაც ეგზომ გაახარა ქართველი ინტელიგენცია და საზოგადოება. ლადო დარჩიაშვილის უდროოთ დაკარგვით გვეგონა მიდუმდებოდა ეროვნული სული ჩვენში მომუშავე სოციალ დემოკრატიულ პარტიაში... მაგრამ ფრიად საინტერესო და გასახარი ცნობა მოგვივიდა თფილისიდან: თფილისელ სოციალ დემოკრატთა ერთი ნაწილი ამხანაგ პავლე საყვარელიძის მეთაურობით საჯაროთ, საქვეყნოთ აცხადებს ქართველი ერის პოლიტიკურ უფლებების აღდგენის საჭიროებას: ტერიტორიალურ ავტონომიას. ვაშა გაბედულ ეროვნულ, **ნამდვილ ქართველ სოციალ დემოკრატს!** ეს გაბედული ნაბიჯი პ. საყვარელიძისა ამ ისტორიულ მომენტში შეიძლება ფსალმუნით ეგცეს ქართველი დამაშვრალი ხალხის, მთელი ერის ღრმათ და მძიმეთ დაიარებულ პოლიტიკურ სხეულს: რიცხვით უძლიერესი და წევრებთა შემადგენლობით ენერგიული სოციალ დემოკრატია თუ ეროვნულ ნიადაგზე შედგა, თუ ამ პარტიამაც გაიხადა სადღეისო ლოზუნგათ ტანჯული ქართველი ერის პოლიტიკური აღდგენა, ჩვენ მაშინ ერთი, გაერთიანებული იერიშით შევსძლებთ დავძლიოთ ყოველგვარი ჯოჯოხეთური და ზექვეყნიური დაბრკოლებანი! თუმც ჯერ დაწვრილებით არ ვიცით ამხანაგ პ. საყვარელიძის გეგმა მომავალ ავტონომიურ საქართველოს საზღვრების შესახებ, მაგრამ თვით პრინციპის ტერიტორიული ავტონომიის აღიარება უდიდესი ფაქტია არა მარტო სოც. დემოკრატიის პარტიული ცხოვრებისათვის, არამედ ვიმეორებ განსაკუთრებული პირობებისა, მომენტის გამო ეს ფაქტი დიადი საზოგადოებრივი და ეროვნული მნიშვნელობისაა პ. საყვარელიძის გამოსვლა თუ სასიხარულოა ეროვნულის თვალსაზრისით, არა ნაკლები ღირებულებისაა ის პარტიული ინტერესების მხრივ: ტერიტორიალი ავტონომიის აღიარებით პ. საყვარელიძე მჭიდროთ უახლოვებს განყენებულათ მდგარ პარტიას ხალხის სულთან და ერის აზროვნებასთან, ის თავის პარტიას გააეროვნულებს და ღირსეულ წევრათ გახდის არა მარტო რუსეთის სხვა და სხვა ერების სოც. დემოკრატიულ პარტიებთა არამედ მთელი დაწინაურებული ევროპის კულტურულ ერთა სოც. დემოკრატიულ პარტიათა რგოლში. დიდის სიხარულით მივეგებებით ამხ. პ. საყვარელიძის თაოსნობას და ვისურვებთ რომ მას რაც შეიძლება მალე ეშოვოს რაც შეიძლება მეტი თანამოაზრენი და წამბაძველნი როგორც თფილისში ისე ქუთაისშიც.

ჩვენი მხსნელი, ჩვენი იმედი, ლაჟვარდოვანი მომავალის საწინდარი გაბედული თაოსნობაა.

მედგარი.

საქ. ეკლ. ავტოკეფალიის აღიარების გამო.

ქართველი ერის შინაურ თვით მყოფელობის საკითხში განახლებულმა რუსეთის მთავრობამ პირველი სიტყვა სთქვა. დროებითმა მთავრობამ აღიარა ივერიის ეკლესიის აღდგენილი ავტოკეფალობა, პეტროგრადის მთავრობას სხვაგვარი პასუხის მოცემა არ შეეძლო იმ დეპეშზე, რომელიც ავტოკეფალიის აღმადგენელ მცხეთის სამღვდელოთა კრებულმა გაუგზავნა რევოლიუციონურ მთავრობას. ჩვენი ეკლესია ისტორიულად დიდ უფლებებით არის შემოსილი. იგი სრულ უფლებიანად ცნობილი და აღსარებული იყო, როგორც ბიზანტიისაგან ისე რომისგან. მისი კათალიკოსი სრული დამოუკიდებელი გამგებელი იყო ქართული ეკლესიის სვებედისა. მაშასადამე ჩვენი ეკლესია დამოუკიდებლად ცხოვრობდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც რომი და კონსტანტინეპოლი პატარა ქრისტია ერთა ეკლესიების დამორჩილებისათვის ერთმანეთს ეცილებოდენ მაგრამ მოხდა ის რაც ძვირად მოხდება თვით ქალრეს უსამართლობის ეპოქაშიც 817 წ. ჩრდილოეთის თვითმპყრობელობამ მცხეთის კათალიკოსს მსოფლიოსგან ბოძებული გვირგვინი აგლიჯა. და იგი ყველგან დამონების მოსურნემ თავის მუხლების წინაშე დაიდო თქმა არ უნდა მაშინ დიდი იყო ბოღმა ქართველი ერისა, მაგრამ ნებით მოპატიჟებულ ერთმორწმუნე რუსებს გაბედულად ვერაფერს ეუბნებოდენ, თორემ სპარსელებს, რომ ეს საქმე ჩაედინათ მაშინ მთელი საქართველო აღსდგებოდა და შეურაცხმყოფელს ბოდიშის მოხდას მოსთხოვდენ. გავიდა ხანი, საქართველოს ეკლესიის ყოფა სამარცხვინო გახდა...

ის აღარ წარმოადგენდა იმ დიდებულ საქადაგოს, სადაც ერთ დროს შეყრილი თავისუფალ ერის შვილები აღმაფრენ ძლიერების მომცემ ხმათ ისმენდენ... ქართველმა ხალხმა თან-დათან მიატოვა ეკლესია და განა იმიტომ კი არა, რომ იგი მას სძულდა, არამედ იქ გამეფებულ მდგომარეობის წყალობით ბოროტების მეტს ვერას ხედავდა... ზოგიერთმა კუთხის მცხოვრებლებმა ბევრჯერ იარაღით მოინდომეს შერცხვენილ ეკლესიის ხსნა. (ამას უკავშირდება 1848 წ. გურიის აჯანყება). ასე იყო, მაგრამ საბედნიეროდ მონობა დაემხო, სასწაული მოხდა 1817 წ. გვირგვინ წართმეული და ფეხ ქვეშ გათელილი ეკლესია 917 წ. თავისუფლებას იბრუნებს... დიდი არის და იქნება სიხარული ქართველი ერისა. დაე ასე აეხადოს ჩვენს ხალხს სხვა ბორკილებიც... დაე დღეიდან მაინც ქართველი სამღვდელოება შესდგეს წმინდა გზაზე და ერს ემსახუროს ისე, როგორც ამას იგი შემოსეულ მტერთა ძალმომრეობის დროს შვებოდა. ამაღლება და ძველი სახელის აღდგენა ივერიის მრავალჯერ განწირულ სამლოცველოს სხვაზე შემდეგ.

ი. იმერელი.

რუსული პრესა.

„ზაკავკაზსკაია რეჩი“ ქართულ ავტოკეფალიის შესახებ სწერს;

დროებითმა მთავრობამ დიდი ყოყმანის შემდეგ გამოაქვეყნა აქტი, რომლითაც შეიწყნარა უფლებანი ქართულ ავტოკეფალურ ეკლესიისა, მაგრამ გამოაქვეყნა იგი ისეთი სახით. რომ მორწმუნეთა ყველა წრეებში უკიდურეს გაოცებას იწვევს.

დროებით მთავრობის აზრით ქართული ეკლესია არა ტერიტორიალი უნდა იყოს, თითქოს საქართველოს თავისი ტერიტორია არა ჰქონდეს და თითქოს ქართველი ხალხი გაბნეული იყოს მთელი დედა-მიწის ზურგზე როგორც ერი რომელმაც დაჰკარგა თავისი სამშობლო.

დროებითი მთავრობის ასეთი გადაწყვეტილება აშკარად ეწინააღმდეგება მართლმადიდებელ ეკლესიის კანონებს, რომელთა მიხედვით შეუძლებელია ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ორი თანასწორი უფლებით აღჭურვილი საეკლესიო ორგანიზმის არსებობა.

ქართული ეკლესია რაკი მისი ავტოკეფალობა აღიარებულია, თვით შესძლებს თავისი მრევლების საქმეთა მოგვარებას და სინოდის მიერ დაყენებულ მოხელეთა უკეთესად დაიცავს არარუსთა უფლებებსაც.

გამოქვეყნებული აქტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ საქართველოს წმინდა მისწრაფებანი ჯერაც გაუგებელნი რჩებიან. ვაცხადებთ ენერგიულ პროტესტს გამოქვეყნებულ აქ აქტის წინააღმდეგ, რადგან ვცნობთ მას ანტიკანონიურად და ქართველ ხალხისა და ეკლესიის მტერთაგან ნაკარნახევად.

დამფუძნებელ კრების შესახებ.

პროფ. როჟდესტვენსკი დამფუძნებელ კრების შესახებ „უტრო როსია“-ში სწერს:

რამდენადაც მე ვიცი პრესა ჯერჯერობით არ შეხებია ერთს მეტად მნიშვნელოვან პუნქტს, სახელდობრ შემდეგს: როგორი უნდა ქონდეს უფლებები დამფუძნებელ კრებას? საქმე ის არის, რომ ისტორიამ ორი სხვადასხვა გვარი დამფუძნებელი კრება იცის: ერთის მხრით ისეთი, რომელიც აღჭურვილია **გადამწყვეტი** ხმით, ხოლო მეორე მხრით ისეთი, რომელიც აღჭურვილია მხოლოდ **რჩევითი** ხმით. საფრანგეთის რევოლიუციის დამფუძნებელი კრება 1789 წლისა გადამწყვეტი ხმის უფლებით იყო შემოსილი, 1787 წელს მოწვეული ფილადელფიის კონგრესი კი, რომელმაც შეიმუშავა შეერთებულ შტატების კონსტიტუცია სარგებლობდა მხოლოდ რჩევითი ხმის უფლებით. განსხვავება აქ დიდი და არსებითია.

პირველი ტიპის დამფუძნებელი კრება საბოლაოდ სწყვეტს საკითხს მმართველობისა და საკონსტიტუციო წესწყობილების ფორმის შესახებ: მეორე ტიპის დამფუძნებელი კრება კი მხოლოდ ნიადაგს ამზადებს საკითხის გადასაჭრელად, ხოლო საბოლაო გადაწყვეტა მთელი საქმისა ამა თუ იმ სახით თვითონ ხალხს ეკუთვნის. ამერიკაში ფილადელფიის კონვენტზე 1787 წელს შემუშავებული კონსტიტუცია თითოეულ შტატისათვის სავალდებულო არ ყოფილა, და შტატებმა მხოლოდ თანდათან თავის საკუთარი ნებით აღიარეს ეს კონსტიტუცია თავისთვის სავალდებულოდ ე. ი. ისინი შევიდნენ კავშირში.

საკითხავია: როგორი უნდა იყოს რუსეთის მომავალი დამფუძნებელი კრება? ჩვენი შეხედულობით, ამის შესახებ არავითარი ეჭვი არ შეიძლება. დამფუძნებელ კრებას რომ მხოლოდ არჩევითი ხმა მივცეთ, ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ შემდეგ საყოველთაო რეფერენდუმი უნდა მოგვეწყო. ასეთი ზომა იქნებოდა მრავალ მილიონიან რუსეთისათვის არა მარტო მეტის მეტად საძნელო, არამედ იგი —რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია— გააჭიანურებდა იმ სოციალ-პოლიტიკურ კრიზისს, რომელშიც ამ ჟამად ვიმყოფებით. ამიტომ უნდა ვისურვოთ, რომ დამფუძნებელი კრება აღჭურვილ იქნეს გადამწყვეტი ხმის უფლებით ე. ი. მან საბოლაოდ უნდა დაადგინოს ფორმა მმართველობისა და შეიმუშაოს ახალი კონსტიტუცია.

ეროვნებათა თათბირის დეპეშა ახალ მთავრობასთან

ამიერ-კავკასიის კომისარიატთან დაარსებულმა თათბირმა, რომელშიაც შედიან ქართველთა, სომეხთა და მუსულმანთა წარმომადგენელნი, შემდეგი დეპეშა გაუგზავნა სათათბიროს და დროებით მთავრობის თავმჯდომარე როძიანკოს, მინისტრ-თავმჯდომარეს თ-დს ლვოვს, იუსტიციის მინისტრს კერენსკის და დეპუტატს ჩხეიძეს:

„ამიერ-კავკასიის ერები, განთავისუფლებულნი ძველის რეჟიმისაგან, რომელიც მუდამ პროვოკაციას ეწეოდა და უთანხმოებას სთესდა მათ შორის, რევოლიუციის პირველ დღეებშივე გაერთიანდნენ. აღფრთოვანებულნი მოპოვებულ თავისუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების ერთის აზრით, იშვიათის ერთსულოვნობით და მომენტის სიდიადის ღრმა შეგნებით შეუდგნენ მწყობრ მუშაობას ახალ წესწყობილების დასამყარებლად ფართო დემოკრატიულ საფუძველზე, თანახმად 6 მარტის მანიფესტისა. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ხალხის აღფრთოვანება და ახალ მთავრობის ამიერ-კავკასიის კომიტეტთან არსებულ ეროვნებათა წარმომადგენლების თათბირის შემოქმედებითი მუშაობა დრო-გამოშვებით იწამლება ბოროტის განზრახვით გავრცელებულ ცნობებით კავკასიაში სახალხო არეულობასა და ეროვნებათა გამწვავებულ დამოკიდებულების შესახებ, იმ ცნობებით, რომელიც სიმართლეს არ შეეფერება. ამ ცნობების მიხედვით, ჩვენში ისეთი მდგომარეობა შექმნილა, რომ საჭიროა ნამესტნიკის დანიშვნა, ან სამხედრო ძალისთვის მიმართვა. ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი— მუსულმანები, სომხები და ქართველნი— წევრნი საგანგებო თათბირისა, რომელიც მუშაობს ამიერ-კავკასიის კომიტეტთან უკანასკნელის მიწვევით, მოვალედ ვთვლით თავს დავადასტუროთ, რომ კავკასიაში სრული წესიერებაა და მშვიდობიანობაა და ბნელის ძალების მიერ გავრცელებული ყალბი ცნობები ვერ შეარყევს ჩვენ შორის დამყარებულ ურთიერთის ნდობას და შეთანხმებულ მუშაობას დიდის რუსეთის სახალხო თავისუფლების გასამარჯვებლად“.

ხელს აწერენ: ალი მარდან თოფჩიბაშევი, გიორგი ლასხიშვილი, გიორგი ჟურული, ალა-ხან-ერევანსკი, ამბარცუმ არაქელიანი, ა. ხატისოვი. ს. არუთიუნოვი, ა. ერზიკიანცი, ა. საიკოვი, გრ. რცხილაძე, ა. ჯამალიანი, ხოსრ--ოფაშა სულთანოვი და ნოე ჟორდანია.

„ს. ფ.“

ახალი ამბავი.

სოფ. შროშაში. კვირას 26 მარტს, ადგილობრივ ეკლესიის გალავანში წირვის შემდეგ გაიმართა მრავალრიცხოვანი კრება. ზალიკო ჩიხლაძემ საზოგადოებას დაწვრილებით განუმარტა ეროვნულ დემოკრატიული მიმართულების პრაგრამა ხალხი აღტაცებით შეეგება საქართველოს ავტონომიის, კრებამ დაავალა ორატორი მისალოცი დეპეშა გაუგზავნოს ახალ მთავრობას და კიტა აბაშიძეს.

◆ **სამშაბათს** 4 აპრილს საღამოს 6 საათზე „ქალაქის ბიბლიოთეკაში“ დანიშნულია ქალთა კლუბის დამაარსებელთა კრება. ვთხოვთ ქალთა კლუბის მომხრე ქალებს მობრძანდენ დანიშნულ დროზე.

კრებაზე შემოსვლის ნება ექნებათ იმ მამაკაცებს რომლებიც ლოღიკურ საკითხზე ილაპარაკებენ. არა უმეტეს 10 კაცისა.

◆ **სოციალდემოკრატია.** ავტონომიის მომხრე მუშები ქ. თბილისში აღდგომის კვირაში გამოსცემენ საკუთარ გაზეთს სახელად „**ჩვენი ერთობა.**“

◆ **დღეს** ქუთაისში მოელიან ამიერ კავკასიის კომისარიატის წევრს ბ-ნ აკაკი ჩხენკელს.

◆ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ქუთ. ქართ. გიმნაზიის მოწაფეთა მიერ გამოცემული ლევან ასათიანის თარგმნილი გიუდე მოპასანის პატარა მოთხრობა დამხრჩვალი. წიგნი შეიცავს 19 გვერდს და ღირს 8 კაპ.

◆ **ქ. ბათომა 27 მარტი.** ქალაქში შემდეგი შინაარსის განცხადება გააკრა აღმასრულებელმა კომიტეტმა! რუსეთს ორი მოსახლე მტერი ჰყავს. ერთი არის გერმანელი მეორე კი შინაური სპეკულიაცია და აღვირ ახსნილი ვაჭრები მოუწოდებთ და წინადადებას ვაძლევთ ვაჭრებს დაუყონებლივ ფასები დასწიონ და ყოველ საქონელზე განსაზღვრული ფასი გამოაცხადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაპატიმრებულნი და განსჯილნი იქნებიან.

◆ **იარაღის აკრძალვა.** ქუთაისის აღმასრულებელმა კომიტეტმა აუკრძალა რევოლვერის ტარება ყველას, გარდა ოფიცრებისა და იმ მოქალაქისა, რომლისთვისაც პირადი მდგომარეობისა და სამსახურის მიხედვით აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ატაროს უკანასკნელი.

◆ **ქუთაისის** აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო ქუთაისის სამხედრო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება, რომელშიაც კატეგორიულათ თხოულობს სამხედრო აღმასრულებელი კომიტეტი, რომ საჩქაროთ დასტოვოს ქალაქი 115 პოლკის უფროსმა ლიპოვეცკიმ, როგორც ძველი რეჟიმის მომხრე და ახალი მთავრობისათვის მავნე ჯარის უფროსმა. სამხედრო კომიტეტმა დაადგინა, ქუთაისის გუბერნიის კომისარი პრაპორშჩიკი სტარცევი და ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ბარათაშვილი მივიდენ ლიპოვეცკის ბინაზე და აუწყონ დადგენილება სამხედრო აღმასრულებელი კომიტეტისა საჩქაროდ სისრულეში მოსაყვანად.

◆ **მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ** ქუთაისის სააბრეშუმო სადგურის გამგე ი. ქუთათელაძე სთხოვს კოოპერატივებს და მეაბრეშუმებს, რომელთაც დაკვეთილი აქვთ თესლი, ამ ორ-სამ დღის განმავლობაში წაიღონ იგი, თორემ სიცხეების გამო თესლის შენახვა შეუძლებელი ხდება.

—**თბილისი** არსდება „საქართველოს შრომის კავშირი“, რომელსაც მიზნად აქვს მატერიალური აღორძინება ქართველ ხალხისა, ორგანიზაცია შრომის სა ყველა სფეროში. ამ მიზნის განსახორციელებლად კავშირის მოქმედება მოკლედ შემდეგში გამოიხატება: 1) კავშირი უშველის ყველა ქართველს შესაფერ საქმის შოვნაში, 2) ხელს შეუწყობს ყველა, უცხოეთში გადახვეწილს ქართველს სამშობლოში დაბრუნდეს სამუშაოდ, რისთვისაც გასწევს პროპაგანდას, 3) ხელს შეუწყობს მსურველთ მამულებისა და სავაჭრო და სამრეწველო საქმეების ყიდვაში ან იჯარით აღებაში და იაფ-ფასიანი კრედიტის შოვნაში ამ საქმეების საწარმოებლად, 4) მოამზადებს მცოდნესა და შეგნებულს მუშაკებს შრომის ყველა სფეროში, რისთვისაც გახსნის სხვა და სხვა ტიპის სასწავლებლებს, ეყოლება ინსტრუქტორები ხალხში შესაფერ ცოდნის გასავრცელებლად და სხვა, 5) ეცდება ბაზრები აღმოაჩინოს საჭირო ნივთებისა, საქონლის საშოვნელად და ქართველების ნაწარმოების გასაყიდად, 6) კავშირი იქონიებს საწყობებს ხალხში სხვა და სხვა საჭირო იარაღის ანუ მანქანების გასავრცელებლად ხელმისაწვდენელ ფასებში და სხვ. კავშირს თავად ექნება სხვა და სხვა სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებანი, რათა მათ შემოსავალი მატერიალურად უზრუნველ ჰყოს თავისი აზრის განხორციელება.

კავშირის წესდება უკვე შედგენილია და ხუთშაბათს, 30 [illegible] 7 საათზე. სათავად-[illegible] საკრებულოში (ბელინსკის ქუჩა, № 2) დანიშნულია პირველი დამფუძნებელი კრება, რომელზედაც იქნება განხილული წესდება. კრებაზე შეუძლია დაესწროს ყველა, ვისაც ჰსურს ამ საქმის ორგანიზაციის ხელი შეუწყოს.

—პეტროგრადის დეპეშათა სააგენტო იუწყება პეტროგრადიდან: მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარის კარლო ჩხეიძის შვილის უცაბედად თოფი გაუვარდა ყმაწვილი „ვინტოვკის“ ტყვიამ იმსხვერპლა. ჩხეიძეს თანაგრძნობის დეპეშები მოსდის.

—ორშაბათს, 27 მარტს, ახალ კლუბის დიდ დარბაზში ამხ. პავლე საყვარელიძემ სოციალ-დემოკრატების კრებაზე წაიკითხა მოხსენება ფრიად საყურადღებო გამოდგა, აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ სურვილი გამოითქვა, რომ ასეთი მოხსენებები ხშირად იკითხებოდეს („ერთობა“).

ქალაქის გამგეობის დარბაზში 4 აპრილს, დილის 10 საათიდან დაიწყება და მთელი დღე გაგრძელდება სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ტფილისის ორგანიზაციის წევრთა საორგანიზაციო კრება. დარბაზში შესვლა მხოლოდ საწევრო ბილეთებით შეიძლება, რომელიც თავის დროზე მიღება კომიტეტის ბიუროში. (კიროჩნი ქუჩა, სახალხო სახლი).

—უკანასკნელ კრებაზე, რომელიც ებრაელთა საქველმოქმედო საზ. დარბაზში შესდგა ლ. ი. მღებრიშვილის თავმჯდომარეობით ბიუროს ასარჩევად 8, 9 და 10 უბნებში, არჩეულ იქმნა ბიუროში 26 კაცი. ეს მარტო საღამოს 8 საათზე უნდა აერჩიათ 3 და 4 უბნის ბიუროს წევრები.

—ბორჩალოს მაზრის სოფ. ბაშკიჩეთში შესდგა მთელი მაზრის სახალხო მასწავლებელთა კრება, რომელმაც აირჩია 10 წარმომადგენელი იმ მასწავლებელთა ყრილობაზე დასასწრებლად, რომელიც თბილისში უნდა მოხდეს 7 აპრილს ვ. ბურჯანაძის მოწვევით. ამავე კრებამ დაადგინა გაყოფილ იქმნას ეს მაზრა ორ მაზრად, როგორც ძველ საქართველოში იყო. მეორე მაზრა თრიალეთის მაზრად იქნება აღიარებული.

თფილისის ქართველ კათოლიკეთა დადგენილების გამო.

25 მარტს ქართველ კათოლიკეთა— თფილისში, როგორც „საქართველოში“ გადმოგვცა, კრება ქონიათ და დაუდგენიათ: აღდგენილ იქმნას ქართველ კათოლიკეთა საეპისკოპოზო კათედრა თფილისში, რომელიც არსებობდა რომის პაპის ბულით მეცამეტე საუკუნეში, რისთვისაც არჩეული იქმნა ბიურო 10 კაცისგან. ბიურომ უნდა შეიმუშაოს ყოველის მხრივ საკითხი ხსენებული კათედრის აღსადგენად საქართველოს დედა ქალაქში თფილისში.

ძლიერ მიკვირს, რომ ამგვარი საკითხის გადაწყვეტა თფილისის ქართველ კათოლიკეებში იკისრეს და დელეგატები არ მოიწვიეს არც ქუთაისის ქართველ კათოლიკეთაგან, არც ახალციხიდან, გორიდან, ბაქოდან, ბათუმიდან და სხვა ადგილებიდან. ჩემის აზრით ამგვარი ბიურო კანონიერად არ უნდა ჩაითვალოს. თუ ამ ბიუროს თფილისის ქართველ კათოლიკობა საერთო საქართველოს კათოლიკეთა კრების მოსამზადებელ ხასიათს მისცემს, იმ შემთხვევაში საჭიროდ ვრაცხ ჩემი აზრი გაუზიარო.

მეცამეტე საუკუნეში თფილისის საეპისკოპოზო კათედრა არსებობდა მისიონერულის აზრით; მასზედ ინიშნებოდენ ფრანგი და იტალიელი ეპისკოპოსები, თვით პაპის ბულდა ეკუთვნის რომის კათოლიკობას საქართველოში.

დღეს კი დრო გამოიცვალა. მისიონერი კათედრის აღდგენას დღევანდელი დრო არ საჭიროებს. თუ ქართველ კათოლიკობამ დღევანდლამდი დიდი სიამოვნებით შეინახა რომის კათოლიკის წეს-რიგი, ეს მოხდა მხოლოდ იმის გამო, რომ იგი სომხის კათოლიკობას არ მიკედლებოდა, რადგან ქართული წირვა-ლოცვა დაშლილი იყო მართებლობისაგან.

ქართველ-კათოლიკობა და რუს-კათოლიკობა დაშლილი იყო კანონით, როგორც უნიატობა. იმისთვის რომ კათოლიკის მღვდელი სლავურად სწირამდა პეტროგრადში რუს-კათოლიკეთა ეკლესია ძველი რეჟიმის დროს დაკეტეს და დაბეჭდეს. თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ეკლესია დღევანდლამდე სულდგმულობს, ეს მხოლოდ იმის გამო რომ დროგამოშვებით ეკლესიას ჟანდარმი ესტუმრებოდა და ადასტურებდა, რომ წირვა მაინც ყოველთვის ლათინურად სრულდებოდა.

აი, რა შებორკილი იყო ქართველ კათოლიკეთა სარწმუნოება, ნუ დაივიწყებთ, რომ მთელ საქართველოს პატრებს ალუკრძალეს ცხოვრება რუსეთში და საზღვარგარეთ გადაასახლეს მარტო მისთვის, რომ იგინი წირვის დროს ხელმწიფეს არ იხსენიებდენ, რადგან მეფის და მისი გვარეულობის მოხსენება დაშლილი იყო ეკლესიისაგან.

დღეს, როდესაც დესპოტიური წესი მართებლობისა დაიმსხვრა. როდესაც შეუძლია ყველა მორწმუნეს თავისუფლად ამოისუნთქოს, რასაკვირველია ყველა კათოლიკე დიდად დააფასებს აწმყო მდგომარეობას და ხელს შეუწყობს მის განმტკიცებას.

ერთ დიდ სასიხარულო მოვლენად ქართველ კათოლიკესათვის უნდა ჩაითვალოს წირვა-ლოცვის ლათინური წერიდან ქართულზე გადასვლა.

ჩვენთვის ის კი არაა საჭირო, რომ მეცამეტე საუკუნის ლათინთა ეპისკოპოზის კათედრა იყოს აღდგენილი, არამედ ტფილისში უნდა დაინიშნოს ქართველ კათოლიკეთა ეპისკოპოსი, აღმოსავლეთის რიგზე ნაკურთხი.

ახლად დანიშნული ეპისკოპოსი ხელახლა შეიტანს თავის ეპარქიაში ქართულ წეს-რიგს. დღევანდელ ლათინთა და სომეხთა წესის მღვდელი შეასწავლის ქართულ ტიბიკონს.

დარწმუნებული ვარ, რომ რომის პაპი სიამოვნებით მიეგებება ამ ცვლილებას, რადგან ლევან მეცამეტეს შემდეგ არა ერთი პაპის ენციკლიკა არსებობს, რომელნიც სასტიკად გმობენ აღმოსავლეთის კათოლიკეთ ლათინთა წესზე გადასვლას. ქართული წირვა-ლოცვის შემოღება მით უფრო ადვილია. რომ იგი ცნობილია პაპისაგან და დღესაც გვყავს ორი-სამი ქართულ წეს-რიგზე აღზრდილი მღვდელი.

პ. ივლიტელი.

მოწოდება.

ქართველ ჯარის-კაცთა კავშირმა რუსულად და ქართულად შემდეგი მოწოდება გამოსცა:

ამხანაგებო, ქართველნო, ჯარისკაცნო და აფიცრებო!

რუსეთის დიდებულმა ჯარმა, რომლის განუყოფელ ნაწილს წარმოვადგენთ ჩვენ ყველანი - დიადი გამარჯვება მოიპოვა, ისეთი გამარჯვება, რანაირიც არ ღირსებია არასოდეს ქვეყნად რომლისამე არმიას.

ერთის ძლიერის დაკვრით მან დაამსხვრია, დალეწა ძველი, დამპალი მეფობა, სამშობლოს ჯალათნი და გამცემნი.

რევოლიუციონურ ხალხთან ერთად ჯარმა განაწამებ რუსეთის ძველ წესწყობილების ნანგრევებზე უკვე ააფრიალა წითელი დროშა თავისუფლებისა. საშინელი შინაური მტერი, რომელიც საუკუნოებით გულს უგლეჯდა რუსეთის ხალხს—დაეცა სასიკვდილოდ დაჭრილი მხეცივით. იგი ძირსა გდია, მხოლოდ ჯერ კიდევ არ მომკვდარა, სულთმობრძავია. მისი უკანასკნელი გაბრძოლებას სიკვდილის წინ შეუძლიან განთავისუფლებული, აღორძინებული რუსეთი დაჰკოდოს, დააზიანოს.

მაშ შემოკრბით მუშებო, ქართველო ჯარის-კაცნო და აფიცრებო, მჭიდრო კავშირი შეჰქმენით რუსეთის დიდ რევოლიუციონურ ჯარში და გახსოვდეთ, რომ ჩვენი მოვალეობაა გულმკერდით, სისხლით დავიცვათ თავისუფლება ჩვენი საერთო სამშობლოსი.

განთავისუფლებულ რუსეთს ყველასათვის მოაქვს თავისუფლება, მიიღებს ამას ჩვენი პატარა სამშობლო საქართველოც, რომელიც ყოველთვის პატიოსნად და წმინდად ასრულებდა თავის მოვალეობას რუსის ხალხის წინაშე. ამხანაგნო და აფიცრებო! დაუმტკიცეთ მთელ ქვეყანას. რომ თავისუფალი საქართველო უკეთესად, უფრო სრულიად აასრულებს თავის ვალს რევოლიუციონურ რუსის ხალხის წინაშე, ეხლა მედგრად, გაბედულად, შეგნებულად ივლის მუშათა კლასთან და მშრომელ მასასთან.

ამხანაგებო! შემოკრბით, მჭიდროდ შემოერტყით ქართველთა სამხედრო კავშირს, რომელიც ისახავს მიზნად:

1. დაიცვას ყოველგვარის საშუალებით ის პოლიტიკური თავისუფლებანი, რომელიც დროებითმა მთავრობამ აღიარა. რუსეთის რევოლიუციონურ ჯართან ძმურად ხელიხელ ჩაკიდებული და მისი განუყოფელი ნაწილი ქართველი მხედრობა შეადგენს კავშირს, რომლის დიადი ლოზუნგია: „ყოველგვარი მსხვერპლი გარეშე და შინაურ მტრებზე საბოლოოდ გამარჯვებისათვის“.
2. კავშირს მსჯელობა ექნება და შეიმუშავებს ზომებს, რათა ქართველმა მხედრობამ უფრო ადვილად შეითვისოს მოქმედ ჯარში სამსახურის წესები. და ეს ზომები ქართველი ერის კულტურულ და სხვა თავისებურებებთან იყოს შეფარდებული.
3. შეადგინოს საგიმნასტო, მსროლელთა, სასპორტო ორგანიზაციები და სხვა საზოგადოებანი, რათა ქართველი ახალგაზდობა ფიზიკურად წესიერად აღიზარდოს.
4. გამოსცეს და გაავრცელოს სამხედრო ხელოვნების და მისი დარგის შესახებ პოპულიარული წიგნაკები.
5. გარემოების მიხედვით კავშირი და დაეხმარება მომქმედ ჯარში მყოფ ქართველ მხედრებს.

გაუმარჯოს რუსეთის დიდ რევოლიუციას.

გაუმარჯოს რუსეთის დიდებულ არმიას, რომელმაც ხალხს თავისუფლება მოუპოვა! გაუმარჯოს პროლეტარიატს, მშრომელ გლეხობას, რუსეთის სახალხო რევოლიუციის დიდებულ ავანგარდს!

გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს თავისუფალ, ავტონომიურ საქართველოს!

ქართველთა სამხედრო კავშირი.

ოსმალეთის ფრონტზედ

დღიურიდან.

ხანგრძლივ ბრძოლებისაგან დაქანცულ № მსროლელთა პოლკს, პოზიციების მოშორებით, სოფ. ყარა-საიდში, საზამთრო მიწურები გაეკეთებინა და ისვენებდა. უგზო-უკვალობისა გამო ახლად დანიშნულმა პოლკს ძლივს მივაგენი. ჯერ ხეირიანათ არც კი გავცნობოდი ახალ სამხედრო ოჯახს; მოწერილობა მივიღეთ ფიცხლავ ეს ადგილი მიგვეტოვებინა და მარცხნივ ვანის ტბისაკენ გადავსულიყავით. მოკლე, გადასავალი გზა მტრის ხელში იყო, ამიტომ შორი გზით ათი დღე უნდა გვემოგზაურა. სუსხიან ზამთარში, ოღნავ მყუდრო ბინების მიტოვება მეგონა ჯარისკაცთათვის დასანანიებელი შეიქნებოდა, მაგრამ გავკვირდი როცა მათ ერთმანეთში მხიარულათ იწყეს ძახილი „პოხოდი ბიჭებო პოხოდიო“ და გაფაციცებით ყველანი წასასვლელათ მოემზადენ. ბრძანებისამებრ ბათალიონებათ დავიწყვეთ პირველ დღეს, ცუდი ტაროსისა გამო ძნელი შეიქმნა მგზავრობა. ბათალიონი საცალფეხო გზებზე ორ ვერსზედ გამწკრივდა უკან, მცირეოდენ საფიცრო ბარგს და საკანცელიარიო ნივთებს სახედრებით მოაკიალებდენ. ცივი ქარი თოვლს თვალებში გვაყრიდა. აქა იქ გზის მომუშავე ჯარისკაცები—ნაჰუქარის წმენდასაც ვერ ასწრობდენ. საღამოს 9 საათ. ძლივს ჩავაღწიეთ სოფ. მაღალი-სოროში. ღამე გაჭივრებით დანგრეულ ქოხებში გავათიეთ. მეორე დღეს თითქოს მივეჩვიეთო, მგზავრობა გაგვიადვილდა. საღამო არც კი იყო ქ. ხნის-კალაში ვიყავით. ღამე იქ გავათიეთ—დილა-ადრიანათ, ცოტა უკან მობრუნების შემდეგ, სოფ. აროსთან ყომო-ყარაგიოზისაკენ გადაუხვიეთ. ჩვენს თვალ წინ ხნისის ჭალები იშლებოდა მდ. ხნის-ჩაით ჩამომდინარე „ეჰ, აქ მცხოვრები განა ღატაკი უნდა იყოს?!“ შენიშნა, წინათ ოსმალეთის მცოდნე ამხანაგმა. გავიარეთ ყარა-კეარი (შავი ხიდი) და ს. ყომ-ყარა-გიოზში (შავთვალებიანი) მივედით. საყურადღებო აქ მხოლოდ ოსმალეთის ქვის ყაზარმებია. ადგილობრივი კომენდანტი ჯარს ახალი თევზით გაუმასპინძლდა. საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ: ოსმალეთის ყველა მდინარეები თევზითაა სავსე. მიზეზი როგორც მითხრეს „ოსმალები თევზს არ გიახლებიანო“.

ყომოყარაგიოზს რომ გავსცილდით, ქედის გადაღმა, ნოყიერ მუშის და ეფრატის ჭალების დანახვამ ლაპარაკი ჩამოაგდო, თუ ვის დარჩებოდა ომის გათავების შემდეგ ეს ადგილები ზოგმა სთქვა ყაზახებს ჩამოასახლებენო. ზოგმა წმ. გიორგის ჯვრიანებს დაურიგებენო და სხვა. თან და თან ძველ აღთქმის ქვეყანაში შევდიოდით მდ. ეფრატის ყურება ძველ, საღმრთო ისტორიულს გავდა ბევრს ახალ ომებიდანაც მოაგონებდა ადამიანს. მისი-ნაპირები არა-ერთხელ ორჯელ შეღებილა მებრძოლთა სისხლით! ბოლოს ზედიზედ გამოვედით და ღამე მდ. ეფრატთან მახლობელ სოფ. ტოგოტში გავატარეთ. უახლოვდებოდით საზამთრო ქალ. კოპს; იმ კოპს რომლის ხანგრძლივმა ბრძოლამ 1915 წელს მრავალს დაამჩნია და ბევრიც სრულიათ წუთისოფელს გამოასალმა. ს. ტოგოტიდან გამოსვლისთანავე ჯარში ერთხმად გაისმა: „შეხეთ კოპს ჭისკარიო (ორი-მთა, უნაგირსავით, ერთმანეთს შეპყურებს) საიდანაც თურქები არტილერიას გვიშენდენო. ძველი თხრილები თოვლზედ კიდევ ემჩნეოდა. აქაურ ბრძოლაში ჩვენ პოლკებსაც მიეღო მონაწილეობა, ამიტომ თითქმის ყველასათვის ნაცნობი იყო ეს ადგილები. ზოგიერთები სად რომელ ალაგას, როგორ დასჭრეს იმასაც კი მიჩვენებდენ! მალე გორის ძირას გამოჩნდა დანგრეულ-გადამწვარი კოპიც. ერთი დღის შესვენების შემდეგ ეტაპ ს. ლიატერში ჩავედით. ფურნესთან ადგილობრივ ქართველ ჯარის კაცთ მოეყარათ თავი. შემატყვეს თუ არა ქართველობა, ხმა მაღლა ქართულათ იწყეს ლაპარაკი. შინაურულ მისალმების შემდეგ ვკითხე: რას აკეთებთ აქ მეთქი „პურს ვაცხობთ, ბატონო, თუმცა მეპურეობის არა გაგვეგებარაო“. სიცილით მიპასუხეს? დავტოვეთ ს. ელურთ-ლემასი (თათრულათ მანონი არ გიჭამიათო) ს. ფხუსი. ს. კარმუნჯში № დივიზიის უფროსი ჯარს მიესალმა, მადლობა გადაუხადა კორპუსის უფროსის დავალებით ძველი გმირული ბრძოლებისათვის დაუსურვა მომავალშიც მტერზე ბრწყინვალე გამარჯვება. მეათე დღეს ბრძანებისამებრ ვანის ტბის პირათ ს. ზიაკში დავბანაკდით. მტრის პირდაპირ ახლოს...

ეს მდიდარი ძველი ქალდეველ ერის ქვეყანა ნაცარ ტუტათ არის ქცეული. მცხოვრებთა სახლ-კარი, ეკლესიები მიწასთან არის გასწორებული.

სომხის სამლოცველოსთვის იატაკიც კი არ შეურჩენიათ; ნანგრევებში ადამიანთა გვამები ჰყრია, უკან დახევის დროს ნაავაზაკარი!.. ასეთ სურათების შემხედავმა სომეხმა ამხანაგმა ცრემლი ველარ შეიკავა და ერემიასამებრ იწყო გოდება. ბოლოს უნუგეშომ ცნობილ სომეხ-მწერალ რაფფის სიტყვებით ვანის ტბასაც კი მიმართა:

> პატარა ტბავ მითხარ რათ სდუმხარ!
> რათ არ გსურს ჩემი წუხილი გაიზიარო.
> სიოვ, მოჰბერე აზვირთე ტბა;
> და შეუერთე ჩემი ნაღველიო.
> შორს არ არის ის მშვენიერი დღე,
> როს არარატის მწვერვალზედ გამოჩნდება
> წითელი დროშა, და დღეს ქვეყნათ
> გაბნეული სომხები დაუბრუნდებიან
> თვის ლამაზ სამშობლოსო...

ნეტამც კი ასეთი ნატვრა ასრულდებოდეს...

იოლა.

მოწოდება

ქართველო ხალხო განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა ესწრაფეთ დაიმუშავოთ ყოველივე ნაჭერი თავისუფალი ადგილისა, დაეხმარეთ ერთმანეთს, დასთესეთ საჩქაროთ უფრო პური, სიმინდი, ქერი, ფეტვი, კარტოფილი და ბოსტნეული, რომ ერმა თავი დააღწიოს უსაშინელეს კარზე მომდგარ სიმშილს. თუ ჩვენი მოსავალი არ მოგვივიდა, უბედურება ელის ერს. არ დაზოგოთ ფული და შრომა, რომ უზრუნველ ჰყოთ თქვენ თქვენი თავი და თქვენი ოჯახი. სხვისი იმედი ნუღარ გაქვთ.

სიფრთხილე!

ახალი მთავრობას განმტკიცება სჭირია. ყოველ მშვიდობიანობის დარღვევა, პარტიათა შორის გამწვავება ამ მიზნისთვის უაღრესად მავნეა. ამიტომ გთხოვთ ერიდოთ ყოველ მოქმედებას, რომელსაც შეუძლია გაუგებრობა გამოიწვიოს.

იმ პირთა შესახებ, რომელნიც ეწევიან პროვოკაციას, ცილს სწამებენ პარტიებს და მოწინააღმდეგეებს სასურველია შეატყობინოთ, ქუთაისის აღმასრულებელ კომსტეტს, რადგან ისინი არიან შეგნებული, თუ შეუგნებელი, მტერნი რევოლიუციისა.

ქუთ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტი.

ეროვნული ვითარება.

(პეტ. დეპ. სააგ.)

ბელორუსია დამოუკიდებლობას ითხოვს.

ქქ. მოგილევსა, მინსკში ვილენსში და ვიტებსკში დაარსდა ბელორუსთა ეროვნული ორგანიზაციები. ეროვნულმა ორგანიზაციებმა ახალ მთავრობას შეჰფიცა, რომ მასთან ერთად იბრძოლებს ომის სასურველ ბოლომდის მისაყვანად, და ამასთანავე მოსთხოვა ბელორუსიის ავტონომიურ მმართველობის შექმნა. კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეული პირველი სათათბიროს წევრი ოკიმუნტი.

⁂

უკრაინა

კიევში 6 და 8 აპრილისთვის უკრაინელები კიევში იწვევენ ეროვნულ ყრილობას. 20 აპრილს უკრაინის სტუდენტობა იწვევს კონფერენციას. კიევის ცენტრალურ საბჭოსთან დაარსდა უკრაინელ გლეხთა ბიურო.

მიწერილი ამბები.

ს. სვირი (**ქუთაისის მაზრ.**) ს. სვირი, როგორც ყველას მოეხსენება, ღვინის მოსავლის სოფელია. აქ თითქმის ყველა ეტანება ვენახის მოვლა-გაშენებას და ღვინის დაყენებას. გარდა ამისა სხვა კულტურულ მეურნეობას აქ სრულიად არ მისდევენ. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ამ ომიანობის დროს ს. სვირის მცხოვრებთა უმრავლესობა დიდს გაჭირვებას განიცდის, რადგან ამ სამი წლის განმავლობაში მოსავალიც ნაკლები იყო ღვინისა და რაც არის, იმასაც ნაკლები გასავალი აქვს უგზოობისა თა აკრძალვის გამო.

სვირელების შემოსავლის წყაროს მხოლოდ ღვინო შეადგენს; ღვინის შემოსავლით ოჯახის პატრონმა მთელი სახლობა უნდა შემოსოს და გამოკვებოს.

მაგრამ რა ჰქმნას კაცმა მაშინ, როდესაც მთელი წელიწადები მევენახეებითვის მოუნდომებია და ეხლა ამ ნაწარმოების ბაზარი მოსპობილი აქვს? მით უმეტეს ასეთ კრიტიკულს დროს?

სწორედ ასეთ გაჭირვებაში ჩაცვივდნენ მცხოვრებლები დღიდგან ომის გამოცხადებისა. ღვინის გაყიდვის აკრძალვა ლოთობის წინააღმდეგი საშვალებაა, მაგრამ უკეთესი იქნებოდა მომხმარებელს თვისი ზომა დაეცვა და ეხმარა ნორმალურად და მწარმოებელს კი არ დახშოდა შემოსავლის-რჩენის წყარო. რა ჰქმნას ისეთმა სოფლებმა, სადაც მარტო ღვინის დაყენებას მისდევენ და ოჯახის რჩენა-გამოკვებას ამის ნაფასურით ელიან?

ამ საკითხის გადაწყვეტა რამოდენიმე სოფლებისათვის ფრიად ყურადსაღებია და ამ საკითხის მოსაგვარებლად საჭიროა ფართო მასამ ამოიღოს ხმა, რადგან ეს გარემოება დიდს გაჭირვებას იწვევს სოფლებში და ჩარჩ-ვაჭრებს ხელ-საყრელს პირობებში აყენებს.

თუ მაინც და მაინც აუცილებელი საჭირო არის მუდმივად აკრძალვა ღვინის ბაზარზე გამოტანისა იმ შემთხვევაში რამე დახმარება მაინც აღმოუჩინონ ისეთს სოფლებს, რომლებიც დამყარებულნი არიან ღვინის საფასურზე.

მ. სვირელი.

ს. სვირი. (ქუთაისის მაზრ.) 19 მარტს ადგილობრივ წმინდა გიორგის ეკლესიაში პანაშვიდი გადაიხადეს პეტროგრადში დახოცილ რევოლიუციონერთა სულის მოსახსენებლად. ხალხი ბლომად დაესწრო. ითქვა სიტყვები ბოლოს გაიმართა მსჯელობა სხვა-და-სხვა ადგილობრივი საკითხების გამოსარკვევად.

უნდა მოგახსენოთ, რომ ძველი რუსეთის მტარვალების ასე უეცრად დასამარება და ახალი მთავრობის ხელში გადასვლა თვით განათლებულ ქვეყნებსაც აოცებსო და რა თქმა უნდა, რომ ჩვენს ხალხს გამოურკვევს მდგომარეობაში აყენებს. ესმის თავისუფლება, ტუჩზე ღიმი ეკვრის, მაგრამ ვერ წარმოუდგენია, თუ რა გზით, ან როგორ მოევლინა მას ეს სანატრელი ბედნიერება. უხარია, მაგრამ რა ესმის, თან ეშნია, ვაი თუ მომავალი უფრო მეტი მწვავე და დუხჭირი იყოსო.

აი სწორედ ამ გამოურკვევლობის დროს უნდა ხალხს დახმარება; ყოველგვარი საქმის შემსუბუქება, გაადვილება და მომვლის ახსნა-განმარტება, ძმურს თანაგრძნობ კილოზე. ყოველგვარი მეტი უშინაარსო ლაპარაკი, ზომაზე გადაჭარბობის გამომხატველი მსჯელობა საქმიეთვის საზიანოა და ხალხს გულს აუცრუებს ახალ სანატრელ განთიადის მოლოდინზე

აქ მე მინდა მივიქციო ყურადღება ზოგიერთთა ადგილობრივ საბჭოს წევრებისა, რომელთა საქციელმა ხალხი ამ დღეს მეტად შეაძრწუნა და სასოწარკვეთილებაში ჩააგდო.

ამისათვის, კომიტეტის თუ საბჭოს წევრნო! ერიდეთ ასეთ შემთხვევას ყველგან და ყოველთვის, საჭიროა წინდახედული გადაჭრა ყოველგვარი ხალხში გამოსატანი საკითხისა.

ნათქვამია: „ასჯერ გაზომე, ერთხელ მოსჭერი“ო, გონივრულია ეს თქმულება და ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე ეს იგულისხმეთ.

იმ თავითვე ითქვა და ეხლაც ვიმეორებ, რომ სოფლების საბჭოებში და აღმასრულებელ კომიტეტის წევრთა შემადგენლობაში უნდა შედიოდეს ისეთი პირები, რომელთაც საშვალება ექნება, ყოველ მხრივ თუ არა, რამოდენიმეთ მაინც, უსასყიდლოთ იმუშავოს ორი, სამი თვე, სანამ დამფუძნებელ კრებას მოიწვევდენ და შემდეგ შეიძლება მოვითხოვოთ „პური ჩვენი არსობისა“ თორემ დღეს ასეთი კითხვების ხალხში გამოტანა, თვითნებურათ სასყიდლის მოთხოვნა მეტად საზიანო და სამწუხაროც არის.

სასურველია შემდეგში ასეთ შემთხვევას ადგილი აღარ ექმნება სვირის ახალ დროებით მთავრობაში ან და უკეთესია, საბჭოს გაანთავისუფლებდნენ ასეთი ელემენტებისაგან.

მ. სვირელი.

◆ სოფ. **ვეგუთი.** ვეგუთის ამხანაგობამ გახსნა კოოპერატივი „წყარო“, საქმის მწარმოებლად დანიშნეს: ბაგრატ დათიაშვილი, ილარიონ ქართველიშვილი, ფილიპე ბოდოკია და იასონ ბოდოკია.

„ავტონომია“.

სიტყვა ავტონომია ქართველ გლეხკაცობას აშინებს. აშინებს მიტომ, რომ ამ სიტყვის მნიშვნელობა მას არ ესმის. ავტონომიაში ქართველი გლეხკაცობა უწინდელ ბატონყმობას გულისხმობს და ბატონყმობისაგან კი ჩვენი გლეხკაცობა ისე დაშინებულია, რომ მისი გაგონება და ხსენება აღარ უნდა. ზოგიერთ სოფლად მოსიარულე აგიტატორსაც ავტონომიაზე ნათელი წარმოდგენა არ აქვს და ამის გამო ავტონომიის მნიშვნელობას კარგად, გასაგებად ვერ უხსნის ხალხს. ამის შემდეგ, რა გასაკვირალია, რომ ქართველმა გლეხკაცობამ ეს მოძღვრება ვერ გაიგოს და მას მხარი ვერ დაუჭიროს. მართლაც, რა არის ავტონომია და როგორ უნდა გააგებინოს ხალხს

კაცმა ამ სიტყვის მნიშვნელობა? ამაზე, ჩემის აზრით ღირს დაფიქრება. ავტონომიის მზგავს დღეს გლეხი თავის ცხოვრებაში ხედავს რასმე თუ არა? თუ ჩვენ ცხოვრებას დაუკვირდებით, ამის მაგალითისათვის, შორს წასვლა არ დაგვჭირდება. ყოველი ჩვენთაგანის ოჯახი, რომელსაც შინაურულად ოჯახის პატრონი განაგებს ნუ, თუ მინიატიურად ერთგვარი ავტონომია არ არის? რომელი მეოჯახე იქნება ჩვენში მისთანა, რომ თავის ოჯახის შინაურ მართველობაში, სხვას, გარეშეს მისცეს ნება შიგ ჩაერიოს და მოიკალათოს? ავტონომიური სახელმწიფოც ერთ დიდ მოზრდილ ოჯახს წარმოადგენს, რომლის შინაური მართვა-გამგეობა ამ ოჯახის ზნე და ჩვეულების და ხასიათის კარგად მცოდნე ადამიანების ხელში არის, როდესაც საქართველოს ავტონომიაზე ვლაპარაკობთ, სწორეთ იმას ვგულისხმობთ, რომ ამ ჩვენი კეკლუცი და ლამაზი ქვეყნის შინაური მართვა-გამგეობა მისი პატრონის ქართველი ხალხის ხელში იყოს. ჩვენი ხალხის სულისკვეთების უცოდინარნი პირნი, განაგებდენ მას და ისეთ კანონებს გვიკარნახებდენ, რომლებიც ქართველი კაცის სულსა და ხორცს არ შეესაბამება. ჩვენი ხალხის მტერია ის, ვინც ასეთ განმარტებას ავტონომიისას განგებ გვერდს უხვევს და ბატონყმობის სამოსელში მოსავს მას. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ თვითშემოქმედება და სულიერი სიამოვნება ავტონომიურ მართველობის დროს უფრო განვითარდება სხვა და სხვა ერებში. ამის მაგალითს ჩვენ ნათლად ვხედავთ შვეიცარიაში, ახალ ზელანდიაში, ავსტრალიაში, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში და კანადაში. ჩვენ, ქართველებისათვის, მაინც ერთად ერთი იმხსნა ავტონომია არის, მაგრამ არა იმგვარი, რომ მართვა-გამგეობა თავად-აზნაურობისა და შეძლებულების ხელში იყოს. მაშ, შევვერთდეთ ყველა და მოვითხოვოთ პირდაპირ დემოკრატიულ პრინციპებზე აშენებული ავტონომია. დეე, იცოდეს შეგნებულმა კაცობრიობამ, რომ ქვეყნის ზურგზე არსებობს ქართველი ერიც, რომელსაც არა მცირედი ღვაწლი მიუძღვის საკაცობრიო ისტორიაში.

მ. ბუაჩიძე.

პასუხი მუშათა საბჭოს დეპუტატებს.

ტსოკჰოლმი. ბერლინიდან ტელეგრაფით იტყობინებიან:

გერმანელ სოციალდემოკრატების ორგანო „ფორვერტს“-ი სწერს: მოთხოვნა გერმანეთში რესპუბლიკურ წესწყობილების დამყარებისა უნდა გამომდინარეობდეს მხოლოდ გერმანელთაგან და არა რუსთა, ფრანგთა ინგლისელთა ან იტალიელთაგან. არც ერთ ხალხს არა აქვს უფლება ძალად მოგვახვიოს სხვა გვარი სახელმწიფო წესწყობილება. გერმანელთა უმრავლესობა მონარქისტებია და მხოლოდ დემოკრატიულ რეფორმებს მოითხოვს. ხალხის სურვილთა შესრულება დაუკარგავს ნიადაგს სარესპუბლიკო აგიტაციას. გარეშეთაგან გერმანეთის საშინაო საქმეებში ჩარევის ცდა მხოლოდ ომის განგრძობას გამოიწვევდა.

მსოფლიო ომი

აღმოსავლეთის ასპარეზი.

მთავარ ბანაკის ოფიციალი.

პეტროგრადი. 28 მარტი. სროლა, მზვერავთა და მფრინავთა მოქმედებაა.

29 მარტი. წინა ღამეს როჟიშჩეს ჩრდილოეთით 18 ვერსის მანძილზე ვულკაპორსკაიას მიდამოებში მოწინააღმდეგის ჯარმა ჩვენ მოდარაჯე ჯარს უკან დაახევინა და ჩვენი მოწინავე სანგრები დაიპყრო, მაგრამ ზარბაზნის სროლით ისევ განვდევნეთ. სტოკალის მიმართულებით ტერემკოვუცეს მიდამოებში საარტილერიო მომზადების შემდეგ გერმანელებმა რამდენიმე ალაგას მავთულის ხლართები გადასჭრა და ჩვენს მოწინავე სანგრებში შემოიჭრა, მაგრამ შიგ ვერ დარჩა დაჭრილები დახიშტეს და უკან გაბრუნდნენ.

რუმინეთის ასპარეზი.

პეტროგ. 28 მარტს და 29 მარტს სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

კავკასიის ასპარეზი.

პეტროგრადი. 28 მარტი. პენკაინის მიმართულებით ვანის სამხრეთ დასავ. 20 ვერსის მანძილზე ნირვანას ტბის მიდამოებში ჩვენმა ჯარმა ოსმალებს უკან დაახევინა, რის შემდეგ იგი შეტევას განაგრძობს. ხანეკენის სამხ. დას. 4 ვერსზე ჩვენმა ჯარმა მიზიკრაბატი დაიპყრო.

29 მარტი. უშნუზის სამხრ. გაიატის მიდამოებში მედგარი ბრძოლაა გაჩაღებული. დანარჩენ ასპარეზზე სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

მფრინავთა მოქმედება.

29 მარტი. გალაცის მიდამოებში ფრანგმა მფრინავმა გერმანელთა საფრენი ჩამოაგდო შიგ ქალაქში.

დასავლეთის ასპარეზი.

ლონდონი. 29 მარტი. შუადღის ოფიციალი. ინგლისელებმა 2 3 მილით წინ წაიწიეს, ტივანში-ანგსელის მისავალამდე მიაღწიეს და აიღეს ვიმის ქედი; მათ ხელში გადავიდა გერმანელთა მეორე ხაზის სიმაგრეები. ინგლისელებმა დაატყვევეს 57,176 კაცი, ამათში 119 ოფიცერი: მრავალი ტყვე ჯერ დაუთვლელია, ხელთ ვიგდეთ ზარბაზნები, ტყვიის მფრქვევლები და სამხედრო მასალა, აპრიკურთან ს. დემიკურტი ავიღეთ, აგრეთვე ავიღეთ ს. პონტრიუ, ზეტეგი. გერმანელთა 2 საფრენი გავანადგურეთ, 5 ვაიძულეთ დაბლა დაშვებულიყო, ხოლო 2 საჰაერო ბუშტი დაიწვა. ინგლისელთა 10 საფრენი უკან არ დაბრუნებულა.

პარიზი 28 მარტი. შუადღის ოფიც. უაზას სამხრეთით ლე აჩუტამპანის აღმოსავლეთით. მეზონ დე შამპანის დასავლეთით ბრძოლა სწარმოებდა ხელის ყუმბარებით.

პარიზი 29 მარტი. შუადღის ოფიციალი. სომმა-უაზას მიდამოებში ზარბაზნების სროლა გრძელდებოდა. რამდენიმე ალაგას ყარაულების შეტაკებანი იყო, ფრანგებმა ტყვეები წამოაყვნეს. უაზაზე კუსის აღმოსავლეთით გერმანელთა შეტევა შეაჩერეს.

მეზონდე შამპანის ახლო, ღამე ცხოველი ბრძოლა სწარმოებდა ხელის ყუმბარებით: ლეპრეტის ტყეში საარტილერიო ბრძოლაა. ავოკურის ჩრდილ. ფრანგებმა ტყვეები წაასხეს. ბონდესაპტის მიდამოებში ფრანგები გერმანელებს სანგრებში მიუხტენ და დაახოცეს.

მაკედონიის ასპარეზი.

პარიზი 29 მარტი. ზარბაზნების სროლა გაძლიერდა. მონასტირის ნაწილში მდ. წრნაზე მძიმე ზარბაზნების სროლის შემდეგ გერმანელთა ბატალიონმა რუსის ჯარს შეუტია, მაგრამ მავთულის ხლართებთან ტყვიისმფრქვეველების ცეცხლით შეაჩერეს. ინგლისელმა მფრინავებმა ორფენის ყურეში მოწინააღმდეგის ბანაკს ყუმბარები დაუშინეს.

არგენტინა გერმანეთს ომს უცხადებს.

ბუენოსარესი 29 მარტი. მთავრობამ გამოაქვეყნა ცნობა, რომლის ძალითაც არგენტინა იმავე მდგომარეობაში იმყოფება, გერმანეთის წინააღმდეგ, როგორშიაც გერმანეთია.

წყალ ქვეშ ომი

მადრიდი. 27 მარტი. გერმანელმა წყალქვეშამ გაუფრთხილებლივ დალუპა ესპანეთის გემი „სანფიული, რომელსაც ლონდონიდან ბარსელონაში ნახშირი მიჰქონდა.

ბრაზილიამ გერმანეთს ომი გამოუცხადა.

პარიზი 28 მარტი. „ტან“-ში დაბეჭდილია დეპეშა რიოდაჟანეიროდან, რომლიდანაც სჩანს, რომ ბრაზილიასა და გერმანეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა შეწყვეტილა.

ბრაზილიამ აღიარა რუსეთის დროებითი მთავრობა.

გერმანელ სამხ. მიმომხილველის აზრი.

კოპენჰაგენი. 28 მარტი. ბერლინგსკე ტიდენდეს ბერლინიდან ატყობინებენ: ფოსიშე ცაიტუნგის მიმომხილველი არრასის ბრძოლის შესახებ ერთობ პესიმისტურ აზრისაა. მისი სიტყვით ამ ბრძოლას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საარტილერიო ბრძოლაში უპირატესობა აშკარად მოკავშირეთა მხარეზე იყო. მაგრამ სამაგიეროდ ზნეობრივი უპირატესობა გერმანეთის მხარეზეა. ოფიციალური გერმანული ცნობა ადასტურებს, რომ ამ ბრძოლაში გერმანელთა დივიზიები საგრძნობლად დაზიანდა.

ომი და ესპანეთი.

მადრიდი. 27 მარტი. დღე დღეზე ელიან სამინისტროს კრიზისს. მანონესი სცდილობს თანხმობა ჩამოაგდოს მინისტრთა შორის. ოფიციალურ ცნობაში ის აზრია გამოთქმული, რომ რამდენიც ფართოვდება ბრძოლის ასპარეზი, იმდენი უარესდება სახელმწიფოს მდგომარეობა.

უკანასკნელი ამბები

„პროგრამებს“ ელიან.

მოსკოვის კომისარიატს ცნობა მიუღია, რომ საზოგადოება „რუსეთისთვი“-ს პოგამზადებსო.

ვოსტორგოვის ოინები

მოსკოვში სარწმუნო წყაროებიდან გაიგეს, რომ ვოსტორგოვი რეაქციის წარმოსამობად დიდ მუშაობას ეწევა. მას ფურცლები დაურიგებია, რომლითაც ხალხს მოუწოდებს არ დაივიწყოს უფლისტოლი მეფე.

სოციალისტთა სახალხო პარტიის ლოზუნგი.

მოსკოვის სოციალისტების სახალხო პარტიამ დაადგინა გულწრფელად მიესალმოს პოლონეთის თავისუფლებას, დანარჩენ რუსეთისთვის წამოაყენოს ლოზუნგი ფედერატიულ რესპუბლიკისა. აგრარული საკითხი ძველი დარჩება, მიწები სახელმწიფოს უნდა გადაეცეს.

სასურსათო საკითხი.

(პ. დ. ს სანოვაგის მთავრობის ხელში გადასვლა)

განსაკუთრებულმა სურსათ სანოვაგის მომწესრიგებელმა კომისიამ სასურველად სცნო, რომ ყოველგვარი ჭირნახული, როგორც 916 წ. ისე 917 წ. მთავრობის ბეჭდს გადაეცეს მოსავალის ყველა დარგი, მაგ. სიმინდი, პური, ლობიო და სამაზრო საერობო თუ სხვა სახის ორგანო. კომიტეტს მიენდობათ ამ საკითხის ადგილობრივ მდგომარეობასთან შეფარდების განხორციელება დიდ მამულების პატრონთ, რომელნიც დაქირავებულ ძალით ამუშავებენ მიწებს განსაზღვრული იქნება, თუ რა ზომის ჭირნახული უნდა მიეცეს მიწის დამმუშავებელს. ის მემამულო, რომელიც ნებით არ ისურვებს პურის გადაცემას რეკვიზიციურ წესით ჩამოართმევენ. დაწვრილებით შემდეგ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

მინისტრები მთავარ ბანაკში.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თ-დი ლვოვი, გზათა მიმოსვლისა ნეკრასოვი, მიწადმოქმედებისა შინგარევი და საგარეო საქმეთა მილიუკოვი მომქმედ ლაშქარის მთავარ ბანაკში მიემგზავრებიან.

რუსეთი.

დაწვრილებითი ცნობები გენ. ევერტის გადაყენების შესახებ. სახელმწიფო სათათბირო წევრს შჩეპკინს შემდეგი ცნობები გადაუცია გაზ. „რუსკოე სლოვოს“-ს თანამშრომლისათვის დასავლეთ ფრონტის მთავარსარდლის გენ. ევერტის გადაყენების შესახებ.

— 5 მარტს წინა ღამით უთქვამს შჩეპკინს — არმიისა და საერობო კავშირის წარმომადგენლებთან თათბირის შემდეგ გამოვარკვიე, რომ გენ. ევერტის ამიერიდგან თანამდებობაზე დატოვება არა სასურველია. ამიტომ ღამის 1 საათზე მე წაველ მასთან გადაყენების გარდაწყვეტის შესატყობინებლად. მე ვუთხარ გენ. ევერტს რომ თუ ის მოქალაქეა და თავისი სამშობლო უყვარს, ის უნდა წავიდეს ამა და ამ მოტივების მიხედვით. ჩემმა განცხადებამ ძლიერ გააოცა გენ. ევერტი, მაგრამ მიუხედავად ამისა მან დაუყოვნებლივ შეატყობინა სამხედრო მინისტრს გუჩკოვსა და გენ. ალექსეევს, რომ ტაქტიკურ მოსაზრებათა გამო ის ამიერიდგან თავის ადგილზე ვერ დარჩება.

შჩეპკინის თქმით, გენ. ევერტი 3 მარტამდე ე. ი. მეფის ტახტიდგან გადადგომის აქტის მიღებამდე, მართლა ამზადებდა თურმე ეშელონებს პეტროგრადში გასაგზავნად. გენ. ევერტის წასვლამ იმ წამსვე დაამშვიდა არმია.

ახალი ბუხარა 18 მარტს, ცეცხლი გაუჩნდა ბამბისა და ხეტყის მზადებელ ქარხნებს, ზარალი ორას ათას მანეთს აღემატება.

რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	დილის	8 ს.	წ.
„	საღამ.	8 ს. 50	„
ბათომიდან	დღისით	12 ს. 40	„
„	ღამის	1 ს.	„
ფოთიდან	დილის	10 ს. 26	„
ტყიბულიდან	საღამოს	6 ს. 50	„
მარელისიდან	დილის	9 ს. 24	„

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისკენ	დილის	11 ს. —	„
„	ღამის	11 ს. 34	„
ბათომისაკენ	საღამოს	7 ს. 5	„
„	დილის	7 ს.	„
ფოთისაკენ	დღისით	4 ს.	„
ტყიბულისაკენ	დილის	8 ს. 40	„
მარელისისაკენ	დღით	5 ს. 20	„

წყალდიდობა.

ქ. ჰომელი. [illegible] წყალმა მახლობელი [illegible] და ზარალი ამ ჟამად ქალაქის უბნებს ემუქრება.

რედაქტორი **ვასილ წერეთელი**
გამომცემელი ამხ. **სამშობლო**

განცხადება

ქალაქ ქუთაისში ევგენია კორძაიას ასულის კერძო საპროფესიო ქალთა საშუალო სასწავლებელთან, რომელსაც უფლებები აქვს და კურსიც ქალთა ხუთ კლასიან პროგიმნაზიასთან შეფარდებული, მიმდინარე წლის 1 სეკტემბრიდან არსდება უფლებიანი კურსები ხელსაქმის მასწავლებელ ქალთა მოსამზადებლად ამიტომ ამ წლის 20 აგვისტოს დილის 9 საათიდან განსაკუთრებული ნუსხით სწარმოებდეს, იქნება გამოცდა იმ პირთა, რომელთაც ამა თუ იმ კურსზე სურთ შესვლა. ხელსაქმის მასწავლებელ ქალთა მოსამზადებელ კურსებზე მიიღებიან: ა) ერთი წლით ის პირნი, რომელთაც ექნებათ გავლილი არა უმცირეს სახალხო შკოლების ორკლასიან კურსისა, ან ისეთნი, რომელთაც ხელსაქმე იციან იმ პროგრამით, რაც დადგენილია გიმნაზიების მე7დე კლასებისათვის. ბ) ორი წლით ისინი, რომელნიც ა) პუნქ. ნახსენებ პირებს დააკმაყოფილებენ, მხოლოდ ხელსაქმე აღნიშნული პროგრამით იციან ამ კურსების კარგათ დასრულების შემდეგ მოწაფე ქალები ღებულობენ დიპლომს, რომელიც უფლებას აძლევს მათ ასწავლონ ხელსაქმე ყველა საქალო სასწავლებლების იმ კლასებში, რომელთა გათავების შესახებ მოწმობაც ექნებათ. ხოლო საპროფესიო განყოფილებაში მიიღება ყველა განუსაზღვრელად.

წლიური გადასახადი 1 სეკტემბრიდან დადგენილია: პროგიმნაზიაში მოსამზადებელ კლასების განყოფილებებში 30 მ. 1, 2, და 4 კლასებში 40 მან. მე 5 კლ.-50 მ. ხელსაქმის მასწავლებელ ქალთა კურსებზე-80 მ. საპროფესიო განყოფილებაში 30 მ. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება: ოლდენბურგის ქუჩა აბდუშელიშვილის სახლი. ვიწვევთ მასწავლებელ ქალთა და ვაჟთ: ხატვისა, ჰიგიენისა, ხელოსნურ ანგარიშისა, ბარგის ცოდნისა, აგრეთვე მოსამზადებელ კლასის და ხელსაქმეს მასწავლებელ ქალსა.

ექიმები:

გ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

ა. მ. ასათიანი ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

გამოცდილი სტუდენტი ამზადებს მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საფუძვლო მოწაფეებისა I და II ხარისხის. იყვანს პირობით. მისამართი: კაზაკოვის და გენერლის ქუჩის შესახვევი სახლი გიორგი სტეფანოვის №15 მიიღება 9—12 ს. და 3—6 საამამდე. მასწავლებელი ა. ფ. თელია. 5 თ.

ა. დ. მაჭავარიანი (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე. დადიანის ქ. სახლი ჩაჩანიძის (წულუკიძისეული

ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^{1}/_{2}$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლვოვის ქუჩა, ალიხანოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, ამასთან ვუწრი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახლ გამოგონილ წამლის საშვალებით, ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და საღამოს 4—6 სათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი გ. კოსტავას სახლი № 17. 8 თ.

თუ გსურთ მიიღოთ საუკეთესო ფოტოგრაფიული სურათები, უსათუოდ შედით
პირველ ხარისხოვან ფოტოგრაფიაში **„ხელოვნება“-ში**
რომელიც გაიხსნა ამა 1917 წ. 1 იანვრიდან ქუთაისში ქარვასლის ქუჩა, ვ. გრიკუროვის სახლში, კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ, მესამე სართულში შესავალი ვარანცოვისა და ქარვასლის ქუჩ.

ფოტოგრაფია ღებულობს ყოველგვარ საფოტოგრაფიო სამუშაოს:
ფოტოგრავიურები მიუნხენის ფოტოგრაფიის სკოლისებური,
პორტრეტები, ფაიფურზე, **გადიდება** პორტრეტებისა, რა ზომისაც საჭიროა.

ფასები ძლიერ მცირეა. მოსწავლეებს და სალდათებს დაეთმობათ 20% არსებულ ფასზე. დაკვეთილი საქმე სრულდება **საჩქაროთ და კეთილსინდისიერად**, რაშიც გთხოვთ დარწმუნდეთ. სურათებს იღებს რუსეთის სასახლის ფოტოგრაფიის თანამშრომელი ფოტოგრაფი **ხ. ღარიბაშვილი.** 2 თ.

ავათმყოფნი სუსუნატით.

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი ხენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამ ჟამათ გამოგონილია პროფ. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ **მორნისა.** ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საექიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლაპისა, ჰაჰებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი. **ბლენიოზოლი** ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით, ვალდებული არიან იხმარონ **ბლენიოზოლი,** როგორც ერთად ერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან განთავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილი სნეულება მეორეთ აღარ განახლდება, კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში, ბლენიოზოლი იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **პ. მაღერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში,** გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ. ფასი ერთი კოლოფისა 3 მ. და 50 კ. სრული განთავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი. **პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით განთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სიცოცხლე. სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე, წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.
თქვენი უერთგულესი **ი. ნ. კოლეგოვი.**
ტრესკისირ-დარისქ. პე ოლქი. 9 (წლიური)

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქ., სახლი გოკიელოვისა